ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N 1

შეხვედრის ადგილი: ლანჩხუთი - სოფელი გვიმბალაური, ჯუნეწრის მოსახლეობა

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 21. 04. 2023 წელი. 11:00 საათი

შეხვედრას ესწრებოდნენ: საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის“ თავმჯდომარე - **გიორგი ხელაძე,** კომისიის წევრები: **დარეჯან ბურჭულაძე, კარლო წილოსანი, ია მოქია,** საკრებულოს წევრი, ჩიბათის, გვიმბალაურის და მაჩხვარეთის ადმინისტრაციული ერთეულების მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი ჩახვაძე.** მერის წარმომადგენელი გვიმბალაურის ადმინიატრაციულ ერთეულში **დურმიშხან ხოფერია.** საკრებულოს წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე **სპარტაკ კვაჭაძე.** საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში: **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი: **ნინო ჭანტურიშვილი,** მოწვეული პირები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ“ საქართველოს მთავრობის N 239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად კონსულტაცია გამართა სოფელის მოსახლეობასთან, ჯუნეწრის სკვერისთვის დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

კომისიის თავმჯდომარე - **გიორგი ხელაძე** მიესალმა მოსახლეობას და მადლობა გადაუხადა მობრძანებისთვის. მან აღნიშნა, რომ ამ დღეებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განცხადებით მომართა გვიმბალაურის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელ ჯუნეწრის მოსახლეობამ, რომელსაც ხელს აწერს 50 პიროვნებაზე მეტი. ისინი ითხოვენ, რომ მათთან არსებულ სკვერს მიენიჭოს - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი - დავით ბოლქვაძის სახელი, რომელიც 1987 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო ტელევიზიაში ჯერ ლიტერატურულ, შემდეგ კი თეატრალურ რედაქციაში ასისტენტად. 90-იან წლებში სახელმწიფო ტელევიზიის მეორე არხის დაარსებისთანავე მიიწვიეს ოპერატორად, ხოლო 1993 წლიდან ის იყო საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამის - „ტაიმ-აუტი“ რეჟისორი და ოპერატორი. დაღუპვამდე რამდენიმე ხნით ადრე ის დაინიშნა მეორე არხის საინფორმაციო რედაქციის მთავარ რეჟისორად.

1993 წელს დავით ბოლქვაძე დასავლეთ საქართველოში მივლინებული იქნა სამოქალაქო ომის გასაშუქებლად, სადაც, 28 ოქტომბერს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა. გარდაცვალების შემდეგ ის დააჯილდოვეს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის

ორდენით. **გიორგი ხელაძემ** აგრეთვე აღნიშნა, რომ ვაშინგტონში დაღუპული ჟურნალისტების მემორიალზე ერთ-ერთი დავით ბოლქვაძის სახელია ამოტვიფრული. ასევე, თბილისში არსებობს ეროვნული გმირის სახელობის სკვერი, ბიუსტი და მემორიალი. მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოშობით დავით ბოლქვაძე იყო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუნეწრიდან.

შეხვედრას ესწრებოდნენ სოფლის მაცხოვრებლები, რომელთაგან აზრი გამოთქვეს: **ლაშა ლორიამ, ცისანა ჩხაიძემ, გია შამანაძემ** და ერთხმად აღნიშნეს, რომ მხარს უჭერენ აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტას, რასაც შეხვედრის ყველა მონაწილე დაეთანხმა. მათ ასევე მხარი დაუჭირა მერის წარმომადგენელმა - დურმიშხან ხოფერიამ.

გიორგი ჩახვაძემ თავის მხრივ აღნიშნა, რომ მან წარმოადგინა სამოტივაციო წერილი და განსაკუთრებულად უჭერს მხარს აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებას.

ია მოქიამ განაცხადა, რომ უერთდება კომისიის წევრების აზრს და აღნიშნა, რომ სკვერში შესაბამისი აბრაც უნდა განთავსდეს და აუცილებელია სკვერის კეთილმოწყობაზე ზრუნვაც, რაშიც მხარდაჭერა აღუთქვა მოსახლეობას.

შეხვედრაზე ასევე სიტყვით გამოვიდა კომისიის წევრი **დარეჯან ბურჭულაძე** და აღნიშნა, რომ მისასალმებელია ასეთი ადამიანების სახელის უკვდავყოფა.

გიორგი ხელაძემ აღნიშნა, რომ იმედი აქვს, დროულად დასრულდება პროცედურები, რათა სოფელ ჯუნეწერში არსებული სკვერი იყოს დავით ბოლქვაძის სახელობის.

პატივისცემით,

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „იურიდიულ

საკითხთა და ეთიკის“ კომისიის თავმჯდომარე